კომპანიის სახელწოდება: შპს „მალე დელივერი“

რეგისტრირებული მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 211, კორპუსი 2, მეოთხე სართული

საგადასახადო საიდენტიფიკაციო ნომერი: 405660422

ტელეფონი: +995 591 61 77 99

შპს„მალე დელივერი“-ს ვებსაიტი, მობილურ აპლიკაცია და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საიტი წარმოადგენს შპს-ს საკუთრებას და ხელმისაწვდომია მომხმარებელთათვის.

მიწოდების პოლიტიკა

შპს მალე დელივერი არის ბაღდათის მუნიციპალიტეტში მოქმედი მიტანის სერვისი, რომელიც ბაღდათში არსებული ობიექტებიდან (პარტნიორი ობიექტებიდან) აწოდებს ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას ვებ გვერდის საშუალებით შეკვეთილ პროდუქციას. შეკვეთის მიწოდება ხდება შეკვეთის მიღებიდან 1 საათის განმავლობაში.

შპს მალე დელივერი უფლებამოსილია დაუკავშირდეს მომხმარებელს რათა დააზუსტოს შეკვეთის დეტალები და მისამართი.

მომხმარებლის მიერ შეკვეთების გაუქმება

მომხმარებელი მას შემდეგ, რაც აპლიკაციის საშუალებით მოახდენს შეკვეთას და კურიერი და მოვაჭრე მიიღებენ შეკვეთას, მომხმარებელს აღარ ექნება ანაზღაურების გარეშე მომსახურების მოთხოვნის უფლება.

მომხმარებელს უფლება აქვს გააუქმოს შეკვეთა/შეკვეთები, რა დროსაც აღარ მოხდება შპს მიერ მომხმარებლის მიერ მითითებულ მისამართზე შეკვეთის მიტანა, მომხმარებელს უბრუნდება მის მიერ გადახდილი თანხა.მომხმარებელმა შეკვეთა უნდა გააუქმოს სანამ მოვაჭრე დაიწყებს შეკვეთის მომზადებას. (მომხმარებლის მიერ შეკვეთის გაუქმებამ არ უნდა მიაყენოს ზიანი შპს ან/და მოვაჭრეს).

მომხმარებლის მიერ შეკვეთის გაუქმების გადასახადი:

თუ მოვაჭრეს უკვე მიღებული აქვს შეკვეთა და დაიწყო მისი მომზადება, და ამ დროს მომხმარებლის მიერ მოხდა შეკვეთის გაუქმება პროდუქტის საფასურის 50 % გადახდა დაეკისრება მომხმარებელს.

მომხმარებელი თავისუფლდება მის მიერ გაუქმებული შეკვეთის გადასახადისაგან თუ მოვაჭრეს არ დაუწყია პროდუქტის მომზადება ან/და შპს-ს არ დაუწყია შეკვეთის დამუშავება.

მომხმარებელს შეეძლება, გაუქმოს შეკვეთა აპლიკაციის მეშვეობით, რა დროსაც მომხმარებელს მიეწოდება ინფორმაცია შეკვეთის გაუქმების წესი და პირობების და გაუქმების შედეგად დაკისრებული გადასახადის თაობაზე ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს „მალე დელივერის“ მიერ მიერ შეკვეთის გაუქმება:

შპს „მალე დელივერი“-ს მიერ უსაფუძვლოდ ან სათანადო მიზეზის არსებობის გარეშე შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში შპს ვალდებულია აცნობოს მომხმარებელს მისი შეკვეთის გაუქმების შესახებ. შპს ინიციატივით უსაფუძვლოდ ან სათანადო მიზეზის არსებობის გარეშე შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში შპს სრულად აბრუნებს მომხმარებლის ანგარიშიდან ან/ საკრედიტო ბარათზე დაკავებული თანხას, ასევე დაბრუნებას ექვემდებარება მომხმარებლის მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით გადახდილი თანხა, შპს მომხმარებელი თანხას ჩაურიცხავს მომხმარებელს მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, შეკვეთის გაუქმებიდან 24 საათის განმავლობაში.

თუ შპს-მ გაუუქმა მომხმარებლის მიერ მიღებული შეკვეთა იმ მიზეზების გამო, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული შპს-თან და მის კონტროლის მიღმაა (მაგ: მარაგის ნაკლებობა, ფასის ცვლილება მოვაჭრის მიერ და ა.შ.). შპს „მალე დელივერი“-ს წარმომადგენლები დროის უმოკლეს პერიოდში დაუკავშირდებიან მომხმარებელს, აცნობებენ შეკვეთის გაუქმების შესახებ, განუმარტავენ შეკვეთის გაუქმების მიზეზს და ასევე მიაწვდიან ინფორმაციას სხვა ხელმისაწვდომი ალტერნატივების და ხარჯების თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შეკვეთის გაძლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მომხმარებელი. შპს მიერ შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში მომხმარებელი სრულად თავისუფლდება გადასახადისაგან.